საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ა. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.07.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №055/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ხ. /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ხ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 08 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. კ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ი. ხ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წელს მისი ოჯახის მიმართ რ. გ.-მ ახალციხის რაიონულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა საკუთრების ხელშეშლის აღკვეთა; ასევე, უძრავი ქონების პირვანდელ მდგომარეობაში მიყვანა. საჩივრის ავტორმა ამ საქმეში დასახმარებლად

მიმართა ადვოკატ ი. ხ.-ს ადვოკატი ი. ხ. იყო საჩივრის ავტორის დედის და თავად საჩივრის ავტორის წარმომადგენელი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მათ მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრათ დრო საქმეზე მტკიცებულებათა წარმოსადგენად და სასამართლოს სხდომა ამ საფუძვლით გადაიდო. მომჩივანის განცხადებით, ის იყო ორსულად, დანიშნული ჰქონდა წოლითი რეჟიმი და ადვოკატს ეკონტაქტებოდა ტელეფონის საშუალებით. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს ხშირად ურეკავდა ინფორმაციის მისაღებად - როდის დაინიშნებოდა მის საქმეზე სასამართლოს სხდომა. ადვოკატი ამშვიდებდა და სხდომის გაჭიანურების სხვადასხვა მიზეზს ეუბნებოდა. ამის შემდეგ, მან მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რის შესახებაც ადვოკატმა განუმარტა, რომ ამ საქმეზე მას თავიდან უნდა გადაეხადა საადვოკატო მომსახურების საფასური.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს რამდენჯერმე ჩაურიცხა თანხა საჩუქრად და სთავაზობდა სასამართლოში წარმომადგენლობის ჰონორარს, რაზეც ადვოკატმა უარი განუცხადა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის ქმედების შედეგად მიადგა ზიანი. ადვოკატმა მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობის მიმართ არ გამოიყენა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშულება. ადვოკატის ბრალით სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2022 წლის 20 ივლისს ადვოკატმა ი. ხ.-მა ეთიკის კომისიას წარმოუდგინა წერილობითი განმარტება, ხოლო 2022 წლის 5 სექტემბერს ზეპირ სხდომაში მიიღო მონაწილეობა. ადვოკატის განმარტებით, მის საადვოკატო ბიუროს მიმართეს ნ. მ.-მ და მისმა შვილმა ა. კ.-მა, რომლებმაც გააცნეს საქმის არსი: კერძოდ, ისინი ცხოვრობდნენ ადიგენის რაიონ სოფელ აბასთუმანში, სახლში, რომელიც წარმოადგენდა თანასაკუთრებას. ნ. მ.-ის საკუთრებაში ირიცხებოდა 25.4 კვ.მ. - საცხოვრებელი სახლის ერთი ოთახი, ხოლო დარჩენილი წილის მესაკუთრე იყო რ. გ -ბ. ნ. მ-ის შვილს, ა. კ.-ს დაკავებული ჰქონდა რ. გ - ბ.-ის საკუთრებაში რიცხული ორი ოთახი. ა. კ.-ს რ. გ. ედავებოდა და ითხოვდა განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას - თანხის 1307 ლარის დაკისრებას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის საადვოკატო მომსახურების პირობებზე შუეთანხმდა ნ. მ.-ს, რომელმაც გადასცა სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა და მან იკისრა ვალდებულება, რომ წარმოედგინა მისი ინტერესები პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამ საქმეში მოამზადა შესაგებელი და წარადგინა სასამართლოში. ამ საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩაინიშნა 2021 წლის 07 აპრილს, სადაც მონაწილეობა მიიღო თავის მარწმუნებელთან ერთად. სხდომაზე ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა, რომ არასათანადო მოპასუხე - მისი კლიენტი, შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით - ა. კ. მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და სარჩელი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნა სათანადო მოპასუხეს - ა. კ.-ს.

2.3 ადვოკატის განმარტებით, სარჩელისა და დოკუმენტაციის მიღების შემდეგ, მის ოფისში გამოცხადდა ა. კ., გადასცა მინდობილობა და ადვოკატმა, როგორც ა. კ.-ს წარმომადგენელმა, ამ საქმეზე მოამზადა შესაგებელი. საქმეზე 2021 წლის 09 ივლისს დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა, სადაც ადვოკატი გამოცხადდა კლიენტთან - ა. კ.-სთან ერთად. მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე მხარემ დააყენა შუამდგომლობა სარჩელის გახმობის თაობაზე. შესაბამისად, 2021 წლის 09 ივლისს სასამართლომ მიიღო განჩინება N - სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

2.4 ადვოკატის განმარტებით, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, კლიენტს განუმარტა, რომ შეასრულა ვალდებულება და შესაძლოა მოსარჩელე მხარეს კიდევ შეეტანა სარჩელი სასამართლოში მის წინააღმდეგ და ყოფილიყო ყურადღებით, როდესაც სასამართლოდან მიიღებდა სარჩელს - დაკავშირებოდა და გაუწევდა სამართლებრივ დახმარებას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ამის შემდეგ მას რამდენჯერმე დაუკავშირდა ა. კ. და მან გაუწია სატელეფონო კონსულტაცია, ასევე მომსახურება სხვადასხვა საკითხზე. ამ სატელეფონო საუბრებისას კითხულობდა სამოქალაქო საქმის თაობაზეც და კლიენტი აწვდიდა ინფორმაციას, რომ არანაირი დოკუმენტი სასამართლოდან მიღებული არ ჰქონდა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, 2021 წლის ნოემბერში მას ტელეფონით დაუკავშირდა ა. კ., რომელიც მის მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი და განუმარტა, რომ ახალციხის რაიონული სასამართლოდან მიღებული ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ადანაშაულებდა მას და ბრალს სდებდა მოსარჩელის ინტერესის სასარგებლოდ მოქმედებაში.

2.7 ადვოკატმა განუმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა. მან პირველ საქმეზე დაასრულა კლიენტის მომსახურება და ამ საქმეზე, არ ფლობდა ინფორმაციას. თუ კლიენტს ჰქონდა სურვილი, რომ ამ საქმეზეც წარმოედგინა ადვოკატს მისი ინტერესები, უნდა შეთანხმებოდა, გადაეცა მისთვის დოკუმენტაცია და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.8 ადვოკატის განმარტებით, კლიენტს ჰკითხა, რატომ არ დაუკავშირდა სარჩელის და თანდართული დოკუმენტაციის მიღების შემდეგ, რაზეც ა. კ.-მა უპასუხა, რომ იმყოფებოდა ბათუმში, გზავნილი ჩაიბარა დედამისმა და მას დაავიწყდა ეს ინფორმაცია შვილისათვის გადაეცა. თუმცა მოგვიანებით განმარტა, რომ დედამისი უარყოფდა გზავნილის ჩაბარების ფაქტს.

2.9 ა. კ.-მა საუბრისას შეცვალა მის მიმართ დამოკიდებულება და სთხოვა დახმარების გაწევა. ადვოკატი განმარტავს, რომ გადაწყვიტა კლიენტს დახმარებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის მომზადებაში. ა. კ.-ს განუმარტა, რომ საჭირო იყო საჩივარზე დაერთოთ დედამისის სანოტარო წესით დამოწმებული ხელწერილი, რითაც ნ. მ. უარყოფდა მის მიერ სასამართლოს გზავნილის ჩაბარების ფაქტს. შეთანხმდნენ, რომ ნ. მ. ადვოკატთან მივიდოდა მეორე დღეს და ასევე, ა. კ. ადვოკატს გადასცემდა მინდობილობას. რის შემდეგაც ადვოკატს უნდა მოემზადებინა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. ამ საუბრის შემდეგ მას არ დაკავშირებია არც ა. კ. და არც დედამისი. საჩივრის

შეტანის ბოლო დღეს ადვოკატი თავად დაუკავშირდა ა. კ.-ს, რომელმაც განუმარტა, რომ აიყვანა სხვა ადვოკატი და სასამართლოში უკვე ჰქონდა შეტანილი საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. ა. კ.-მა განუმარტა, რომ მისი დახმარება აღარ სჭირდებოდა, გადაუხადა მადლობა, უსურვა წარმატებები და დაემშვიდობა.

2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ მას კლიენტის მიმართ პროფესიული ვალდებულებები არ დაურღვევია და ა. კ.-ს საჩივარი არის უსაფუძვლო.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. ხ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ა. კ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 08 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ი. ხ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ი. ხ.-მა მის საქმეზე არ წარადგინა შესაგებელი, რის გამოც სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მას მიადგა ზიანი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

5.2.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2.).

5.2.3 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

5.3 ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად.

5.4 „ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ასევე, ადვოკატი ვალდებულია იქონიოს სისტემატური კომუნიკაცია კლიენტთან საქმის წარმოების პროცესში, მასთან წინასწარი შეთანხმებისამებრ დასახოს დაცვის სტრატეგია და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

5.5 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N074/10).

5.6 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატის კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ორი ძირითადი საკითხის განსაზღვრა: (1) ადვოკატმა კლიენტთან შეათანხმოს დაცვის სტრატეგია და მოსალოდნელი შედეგების შესახებ მოახდინოს კლიენტის ინფორმირება; და (2) ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია შესაბამისობაში იყოს კანონთან. სხვა მხრივ, თუ რამდენად ეფექტიანი იყო ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია, არ შეიძლება შეფასების საგანი გახდეს, რადგან ადვოკატი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში (აპეკ, მუხლი 2).

5.7 კოლეგიის შეფასებით, წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგინდა, რომ ადვოკატმა ი. ხ.-მა, იმ პერიოდში, როდესაც ის წარმოადგენდა ა. კ.-ს და დედამისის ინტერესებს, მონაწილეობა მიიღო კლიენტის ყველა დავაში. ადვოკატმა ი. ხ.-მა, როგორც ნ. მ.-ის წარმომადგენელმა, მონაწილეობა მიიღო 2021 წლის 07 აპრილის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, სადაც კლიენტთან შეთანხმებით მოითხოვა არასათანადო მოპასუხის - ნ. მ.-ის შეცვლა სათანადო მოპასუხით - ა. კ. ადვოკატის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

5.8 ადვოკატმა ი. ხ.-მა, როგორც ა. კ.-ს წარმომადგენელმა, შესაგებელი წარადგინა სამოქალაქო საქმეზე N, ამ საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩაინიშნა 2021 წლის 09 ივლისს, სადაც ადვოკატი წარმოადგენდა ა. კ.-ს ინტერესებს. საქმის მოსამზადებელ ეტაპზე, 2021 წლის 09 ივლისის განჩინებით, სარჩელი დარჩა განუხილველი, მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. ადვოკატმა საქმის წარმოება იმ ეტაპზე დაასრულა და კლიენტს განუმარტა სამომავლო რისკები. კონკრეტულად, შესაძლოა მოსარჩელე მხარეს კვლავ მიემართა სარჩელით სასამართლოსათვის მოპასუხე ა. კ.-ს წინააღმდეგ. ადვოკატ- კლიენტის ურთიერთობა იმ ეტაპზე დასრულდა.

5.9 2021 წლის 22 ოქტომბერს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის - ა. კ.-ს მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო. ა. კ.-ს პრეტენზიით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაში ბრალი მიუძღვის ადვოკატ ი. ხ.-ს.

5.10 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.11 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

5.12 კოლეგია განმარტავს, რომ ამ კონკრეტული სადავო ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს. საქმეში საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია ა. კ.-ს 19.11.2021 წლის საჩივარი, ადიგენის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 22 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, საქმე N. საჩივარში მითითებულია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა შესაგებლის წარუდგენლობა, გზავნილი ჩაიბარა ა. კ.-ს დედამ ნ. მ.-მ. ასევე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მესამე გვერდზე მითითებულია, რომ გზავნილი ჩაბარდა მოპასუხე ა. კ.-ს დედას ნ. მ-ს. ადვოკატს სასამართლოს გზავნილი არ ჩაბარებია, საჩივრის ავტორი ვერ ადასტურებს, რომ ადვოკატს მიაწოდა ინფორმაცია სარჩელის შესახებ, ცხადია ადვოკატი ი. ხ. ვერ შეძლებდა ა. კ. -ს წარმომადგენლობას. ამ შემთხვევაში, ადვოკატის ინფორმირება წარმოადგენდა კლიენტის მოვალეობას, კლიენტი თავად არ შეთანხმებია ადვოკატს, რომ წარმოედგინა მისი ინტერესები ახალ სარჩელთან დაკავშირებით. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ადვოკატმა გამოხატა მზაობა - გაესაჩივრებინა აღნიშნული საპროცესო დოკუმენტი, თუმცა ა. კ.-მა ადვოკატ ი. ხ.-ისაგან მომსახურების მიღებაზე განაცხადა უარი. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა იმოქმედა კვალიფიციურად, სტრატეგია შეათანხმა კლიენტთან, კლიენტი იყო ინფორმირებული. შესაბამისად, ადვოკატ ი. ხ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №055/22 ადვოკატ ი. ხ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/